HOW THE 1992 ELECTIONS OF GEORGIA WERE PLANNED

როგორ დაიგეგმა საქართველოს 1992 წლის არჩევნები[1]

GIGI GIOSHVILI

PhD STUDENT OF HISTORY
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
Chavchavadze Avenue 1, Tbilisi, Georgia
ASISSTANT PROFESSOR OF CAUCASUS UNIVERSITY
Paata saak st. 1, Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0009-6220-6999
Gigi.gioshvili@gmail.com
+995551611616

Abstract

Elections are always considered the most legal and legitimate means of expressing the will of the people. Every citizen has the right to participate in their country's governance. In any democratic state, elections are a key mechanism for changing governments and initiating new reforms, allowing citizens to express their views regardless of belief, religion, gender, or ethnicity.

Georgia held its first multi-party parliamentary elections in 1919, but they did not become a systemic practice. After the annexation of Georgia by the Soviet Union in 1921, all democratic processes were suspended. The country lost its independence and endured 70 years of communist dictatorship. During this time, Georgia held only one-party, undemocratic elections. This continued until the parliamentary elections of October 28, 1990, which brought the "Round Table – Free Georgia" bloc to power, initiating a transitional period that eventually led to the restoration of Georgia's independence and efforts to build democratic institutions.

The events and processes of the 1990s are particularly significant in shaping Georgia as a modern state. This period was marked by severe challenges. On one hand, the newly independent state had to reckon with the Russian Federation, which emerged from the collapse of the Soviet Union. On the other, it sought to align itself with the West and gain acceptance in the European community. Following the ousting of Zviad Gamsakhurdia's government and the rise of a ruling triumvirate, the political situation became increasingly tense.

Against this backdrop, it is especially important that society began using elections as a means of initiating positive changes in the country. Studying the 1992 parliamentary elections in Georgia is not only relevant to understanding Georgian history but also provides insight into broader regional dynamics in the South Caucasus. The Baltic states were also distancing themselves from Soviet influence during this period, and the developments in these regions were closely watched by both European and American observers.

Western historiography places significant emphasis on studying recent history. Accordingly, by examining the 1992 parliamentary elections, we bring to light key issues from Georgia's contemporary history. This research represents a scientific innovation and will reveal many interesting details about an important transitional period in Georgia's recent past.

[1] კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, N: PHDF-22-1669, პროექტის: „საპარლამენტო არჩევნები საქართველოში 1992-2003“ ფარგლებში. This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation“, N: PHDF-22-1669, THe Parliamentary Elections in Georgia 1992-2003.

Key words: October 1992; Georgia, Parliamentary Elections; Military Council; State Council; Central Election Commission.

გიგი გიოშვილი

ისტორიის დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. #1, თბილისი, საქართველო
კავკასიის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
პაატა სააკის ქ. 1, თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0009-6220-6999
Gigi.gioshvili@gmail.com
+995551611616

აბსტრაქტი

არჩევნები ყოველთვის მიიჩნევა მოსახლეობის ნების გამომხატველ ყველაზე სამართლებრივ და კანონიერ გზად. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მმართველობის პროცესში. საქართველოში მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნები პირველად 1919 წელს ჩატარდა, მაგრამ ამან ვერ შეიძინა სისტემური ხასიათი. 1921 წელს საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს ანექსიის გამო ქვეყანაში ყველა დემოკრატიული პროცესი შეფერხდა. ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა და 70 წლის განმავლობაში ქვეყანაში კომუნისტური დიქტატურა მძვინვარებდა. საქართველოში ამ დროის განმავლობაში ტარდებოდა მხოლოდ ერთპარტიული, არადემოკრატიული ტიპის არჩევნები. ეს ყველაფერი გრძელდებოდა 1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე, რომელშიც გაიმარჯვა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ და შედეგად აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა.

საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ფორმირების საკითხში, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება 1990-იან წლებში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებს. ამ ყველაფრის მთავარ მამოძრავებელ ძალად კი მიგვაჩნია არჩევნები, რომლებიც ქვეყანაში ხელისუფლების ლეგიტიმაციისა და მთავარი გარდაქმნების საწინდარია. ჩვენი თემაც სწორედ ამიტომ ეხმიანება საქართველოს უახლესი ისტორიის ამ მნიშვნელოვან პერიოდს და მიზნად ისახავს, გააშუქოს 1992-წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების მომზადების პროცესი.

აღნიშნული პერიოდი სავსეა გამოწვევებით და სირთულეებით. საქართველოს ახლადშექმნილ სახელმწიფოს უწევდა ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე აღმოცენებული რუსეთის ფედერაციისთვის გაეწია ანგარიში, ხოლო, მეორე მხრივ, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისა და ე. წ. „ტრიუმვირატის“ მოსვლის შემდეგ ვითარება უფრო და უფრო იძაბებოდა. ქვეყანაში არსებობდა არაფორმალური შეიარაღებული გაერთიანებები, მხედრიონი, რაც ხელს უშლიდა ქვეყნის კონსტრუქციულ და მშვიდობიან განვითარებას. ამის ფონზე ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება არჩევნების გზით იწყებს ქვეყნისთვის სასიკეთო ცვლილებების განხორციელებას.

საინტერესოა, როგორ ხდებოდა საარჩევნო კანონზე მუშაობის პროცესი ან როგორ დაიგეგმა 1992 წლის არჩევნები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკმაოდ საინტერესოა რა მოვლენები უძღვოდა წინ 1992 წლის არჩევნებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საკვლევი თემა: „როგორ დაიგეგმა საქართველოში 1992 წლის არჩევნები“ წარმოადგენს სამეცნიერო სიახლეს და უახლესი ისტორიის ამ მნიშვნელოვანი პერიოდის შესახებ ბევრ საინტერესოსა დეტალს გააშუქებს.

საკვანძო სიტყვები: 1992 წლის ოქტომბერი; საქართველო; საპარლამენტო არჩევნები; სამხედრო საბჭო; სახელმწიფო საბჭო; ცენტრალური საარჩევნო კომისია.

შესავალი

1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ქვეყნის სათავეში მოვიდა ბლოკი „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“, რომელმაც გარდამავალი პერიოდის შემდეგ 1991 წლის 9 აპრილს აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა და დაიწყო დემოკრატიული ინსტიტუციების მშენებლობა. თუმცა მშვიდობიანობის პერიოდი საქართველოში დიდხანს არ გაგრძელებულა. 1991-1992 წლების მიჯნაზე სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დაემხო კანონიერად არჩეული საქართველოს ხელისუფლება. 1991 წლის 21 დეკემბერს დაიწყო სამხედრო გადატრიალება ე. წ. ტრიუმვირატის, ჯაბა იოსელიანის, თენგიზ კიტოვანისა და თენგიზ სიგუას, ორგანიზებით, რომელიც 1992 წლის 7 იანვარს დასრულდა. მაშინდელი პრეზიდენტი და ხელისუფლების ლიდერის ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა. დამყარდა „ტრიუმვირატის“ მმართველობა. მთელი საქართველოს მასშტაბით 1992 წლის დეკემბრიდან მაისამდე მიმდინარეობდა დაპირისპირებები ზვიად გამსახურდიას და ახლად მოსული ხელისუფლების მომხრეებს შორის. სწორედ ასეთი დაპირისპირებების დროს ჩნდება ახალი არჩევნების ჩატარების იდეა და ამ კუთხით ძალზედ საინტერესოა, როგორ წარიმართა ეს პროცესი, რა გამოწვევებისა და სირთულეების წინაშე იდგა ქართველი საზოგადოება ან პოლიტიკური ელიტა.

1992 წლის არჩევნების მომზადებასთან ან მის შედეგებთან დაკავშირებით არ არის შექმნილი სრულფასოვანი სამეცნიერო გამოკვლევა. აღნიშნულ არჩევნებს, არა ერთობლივი სახით, ან კომპლექსურად, არამედ განყენებულად თავიანთ სამეცნიერო ნაშრომში ირიბად ეხება რამდენიმე მკვლევარი. პირველ რიგში, გამოვყოფ მემუარული ჟანრის ლიტერატურას, რომელსაც წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვს. საკითხის სიღრმისეულად გააზრებისთვის ჩვენ დავამუშავებთ, ედუარდ შევარდნაძის, ჯაბა იოსელიანის და ნომადი ბართაიას მოგონებები. რაც შეეხება ისტორიულ გამოკვლევებს, ავტორი, რომელიც ერთ-ერთი პირველი შეეხო 1992 წლის არჩევნებს და მიმდინარე მოვლენებს გახლავთ უჩა ბლუაშვილი. ასევე საინტერესოა გიორგი წიქარიშვილის „ჟამი ჭეშმარიტი“, რომელიც უფრო ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების მატიანეს წააგავს. აქ თავმოყრილია დიდძალი ემპირიული და ფაქტობრივი მასალა. 1992 წლის არჩევნების შესახებ ინფორმაციას ვხდებით სტივენ ჯონსის ნაშრომში, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ რამდენი გვერდი ეთმობა ამ საკითხს და ისიც უფრო შედეგების თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს ირაკლი ირემაძის ავტორობით გამოვიდა წიგნი: „საქართველოს არჩევნების ისტორია 1990-2018“. ნაშრომში კოლოსალური შრომაა ჩადებული და ნამდვილად დიდ ემპირიულ ინფორმაციას ვხდებით, თუმცა ნათელია, რომ ავტორის მიზანი მხოლოდ სტატისტიკური ფაქტების აღწერაა.

თითქმის სულ ეს არის რაც 1990-იანი წლების არჩევნების თემატიკას ეხმიანება და ისტორიოგრაფია ეწოდება. ამ მწირ სურათს ემატება ისტორიკოსთა მიერ გამოქვეყნებული სტატიები, წერილები, სხვა მცირე სახის პუბლიკაციები, ან ნაშრომები, რომლებიც სხვა თემატიკას ეხმიანებიან ან ირიბად ან გაკვრით ეხებიან საკვლევ თემას.

კვლევის მიზანი: კვლების მიზანია 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნების მომზადების პროცესის დაკვირვება და შესწავლა, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ მთავრობის ჩანაცვლების პროცესის აღწერა, ახალი არჩევნების ჩატარების პრინციპის განსაზღვრა საარქივო წყაროებზე, პრესის მასალებსა და არსებული სამეცნიერო ნაშრომზე დაყრდნობით.

კვლევის ჰიპოთეზა: 1991-1992 წლის გადატრიალების შემდეგ ქვეყნის კეთილდღეობისთვისა და მშვიდობისთვის ძალიან დიდი როლი ენიჭებოდა 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნების ჩატარებას. ფაქტობრივად ეს იყო ერთადერთი გზა ახალ ხელისუფლებას მიეღო ლეგიტიმურობა. სამხედრო საბჭოს, შემდგომში სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებებს ენიჭებოდა უმთავრესი როლი ამ არჩევნების ჩატარება არ ჩატარების საკითხში. იდგა საფრთხე ქვეყანაში მუდმივი ანარქიის. „ტრიუმვირატს“ მხარდამჭერი გამოუჩნდა ედუარდ შევარდნაძეს სახით და მისი დახმარებით მოხერხდა ახალი არჩევნების დაგეგმვა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა კონტენტ-ანალიზის, შედარებისა და განზოგადების მეთოდების გამოყენებით. კონტენტ-ანალიზის საფუძველზე დამუშავდა საარქივო წყაროები, პრესის მასალები, სამეცნიერო ნაშრომები და მემუარული ლიტერატურა.

შედეგები

ნაშრომში წარმოდგენილია 1992 წლის არჩევნების დაგეგმვის პროცესი, ყველა დაბრკოლება, რომელმაც მზადების პროცესში იჩინა თავი და გადაწყვეტილებები, რამაც ხელი შეუწყო ახალი არჩევნების ჩატარებას. კვლევა პასუხს სცემს შემდეგ კითხვებს: ვინ წამოაყენა პირველად არჩევნების იდეა და ვის აწყობდა ეს ყველაზე მეტად? როგორ მიმდინარეობდა არჩევნების დაგეგმვის პროცესი? რა როლი ჰქონდა ედუარდ შევარდნაძეს ახალი არჩევნების ჩატარებაში? რა მოდელით ჩატარდებოდა 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნები? რამდენად სამართლიან გარემოში მიმდინარეობდა ახალი არჩევნების დაიგეგმა?

დისკუსია

საქართველოში 1991-1992 წლების მიჯნაზე მომხდარი სამხედრო გადატრიალებას ქვეყნის მასშტაბით ბევრი ცვლილება მოჰყვა, ვეცდებით ქრონოლოგიურად გავყვეთ და წარმოვაჩინოთ რა ვითარებაში ხდებოდა ახალი არჩევნების დაგეგმვა, ვის რა პოზიცია ჰქონდა ამასთან დაკავშირებით და როგორ დასრულდა ეს ყოველივე.

სამხედრო გადატრიალების დასრულების დღესვე, 1992 წლის 7 იანვარს საქართველოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ არჩილ ჭირაქაძემ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს გადადგომის განაცხადით მიმართა - „გაცნობებთ, რომ შექმნილი ვითარების გათვალისწინებით შეუძლებლად მიმაჩნია

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება. გთხოვთ მიიღოთ აღნიშნული თანამდებობიდან ჩემი გადადგომა“ (საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცსკ), ფონდი 1252, ან. 1, საქ. 9, ფურ. 2). ბუნებრივია, შექმნილ ვითარებაში არჩილ ჭირაქაძე კანონიერი ხელისუფლების დამხობას გულისხმობდა. მისთვის მიუღებელი იყო იმჟამინდელ „ხელისუფლებასთან“ თანამშრომლობა. სამხედრო საბჭომ მხოლოდ 1992 წლის 25 თებერვალს დააკმაყოფილა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩილ ჭირაქაძის განცხადება გადადგომის შესახებ და გაათავისუფლეს თანამდებობიდან. დადგენილებას ხელი მოაწერეს ჯაბა იოსელიანმა და თენგიზ კიტოვანმაც (ცსკ, ფონდი 1252, ან. 1, საქ. 9, ფურ. 1).

იანვრიდან საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გაუქმდა პრეფექტურები, დროებით შეჩერდა ყველა დონის საკრებულოთა საქმიანობა. ადგილზე მთელი ძალაუფლება გადაეცა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დროებით საგანგებო რწმუნებულს. ასევე შეიცვალა გენერალური პროკურორი. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გადააყენეს ვაჟა აბაკელია და მის ნაცვლად დროებით მოვალეობის შესრულება დაეკისრა ვახტანგ რაზმაძეს (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #1). სიტუაციის კონტროლის მიზნით კი 1992 წლის 3 იანვრიდან ქალაქ თბილისში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც კატეგორიულად კრძალავდა მიტინგებსა და დემონსტრაციებს, ასევე იკრძალებოდა მოქალაქეთა ქალაქში გამოსვლა 23 საათიდან 6 საათამდე. ქალაქ თბილისის კომენდანტად დაინიშნა გიორგი ყარყარაშვილი, ხოლო მის მოადგილედ გიორგი არველაძე (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (1992). #1).

პირველად ახალი არჩევნები ახსენა ჯაბა იოსელიანმა 5 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში ჟურნალისტებთან საუბრის დროს. მისი თქმით, ვითარების დაწყნარების შემდეგ აპრილის დასაწყისში მოეწყობოდა საყოველთაო არჩევნები (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #1). შეკრებას ესწრებოდა თენგიზ კიტოვანიც და ბუნებრივია ეს მხოლოდ ჯაბას ინიციატივა ან მოსაზრება არ იყო. ეს ე. წ. „ტრიუმვირატის“ შეთანხმებული მოსაზრების გაჟღერებას ჰგავდა. ასევე ამ შეკრებაზე იქნა განხილული შევარდნაძის სამომავლო თანამშრომლობის საკითხი, რაზეც სამხედრო საბჭოს კონკრეტული და მკაფიო პოზიცია არ დაუფიქსირებია.

7 იანვარს ნიუ-იორკში მყოფმა შევარდნაძემ საქართველოს მოსახლეობას მიულოცა გამსახურდიას დამხობა და განაცხადა, რომ სურდა წვლილი შეეტანა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის გარდაქმნაში. მიცემულ ინტერვიუში მან მკაფიოდ გაუსვა ხაზი, რომ არ აპირებდა საქართველოს ახალ მთავრობაში რაიმე პოსტის დაკავებას ან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას. აღნიშნულ ინტერვიუში სსრ კავშირის ყოფილმა საგარეო ურთიერთობათა მინისტრმა განაცხადა, რომ საჭირო იყო საქართველოში მომავალი სამი თვის მანძილზე მოწყობილიყო ახალი საპარლამენტო არჩევნები, ხოლო წლის შუა ხანებისთვის კი პრეზიდენტის ახალი არჩევნები (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (1992). #2)..

ზვიად გამსახურდიას თბილისიდან წასვლის შემდეგ ახალ არჩევნებზე საუბრობდა გიორგი ჭანტურიაც. მისი თქმით ახალ საპარლამენტო არჩევნებზე ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას სერიოზული ზრახვები გააჩნდა. „ჩვენი პარტიის წევრთა მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი მაძლევს საფუძველს, რომ ვიქონიოთ არჩევნებში წარმატების იმედი“ - აღნიშნავდა იგი. თუმცა გამორიცხავდა და უარს ამბობდა თავისი კანდიდატურის დასახელებაზე (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #12).

ახალი არჩევნების პარალელურად 8 იანვრისთვის დაღუპული იყო 113 მოქალაქე, ხოლო დაჭრილი კი - 400-მდე (შველიძე, 2008: 458) ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერებსა და გადატრიალების მომხრეებს შორის დაპირისპირება მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობდა. აღნიშნული შეიარაღებული შეტაკებები იანვრისა და თებერვლის თვეებშიც გრძელდებოდა.

საქართველოს დროებითმა მთავრობამ 10 იანვარს, ლეგიტიმაციისთვის მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობებს. აღნიშნულ მიმართვაში ჩვენ ყურადღებას მხოლოდ არჩევნების თემაზე გავამახვილებთ. „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ მოამზადებს ყველა პირობას უახლოეს თვეებში ახალი პარლამენტის არჩევნების გამართვისათვის მშვიდობიანი, სტაბილური მდგომარეობის პირობებში“. საქართველოს მთავრობის თქმით, მთლიანად იზიარებდნენ ჰელსინკის საბოლოო აქტის, ვენის შეხვედრის დოკუმენტის და პარიზის ქარტიის დებულებებს. საქართველოში დროებითი მთავრობა აცხადებდა, რომ ახალშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობასთან ურთიერთობა განისაზღვრებოდა არჩევნების ჩატარებისა და ახალი პარლამენტის შექმნის შემდეგ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #3).

10 იანვარს გაიმართა საქართველოს პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭოს მორიგი სხდომა. განიხილეს საარჩევნო კომისიის მიერ მომზადებული მოსაზრებები ქვეყნის უზენაესი წარმომადგენლობით ორგანოში არჩევნების ვადებისა და ძირითადი პრინციპების შესახებ. მსჯელობის შედეგად საკოორდინაციო საბჭომ დაადგინა: 1. არჩევნები უნდა ჩატარებულიყო არაუადრეს 1992 წლის ივნისისა და არაუგვიანეს ოქტომბრის თვისა; 2. არჩევნები უნდა ჩატარებული მრავალმანდატიან ოლქებში ერთადერთი გადასაცემი ხმის უფლებით. საარჩევნო კომისიას დაევალა საკოორდინაციო საბჭოს მორიგ სხდომა წარმოედგინა საარჩევნო კანონის პროექტი (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #4).

19 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება დროებითი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ. ამიერიდან დროებითი მთავრობის ვალდებულება იყო მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე თავისი გადაწყვეტილებები საკონსტიტუციო საბჭოსთან ერთად განეხილა (ბლუაშვილი, 2015: 195) 21 იანვარს კი გაზეთ საქართველოს რესპუბლიკაში გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულება (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #9).

პარალელურად მზადდება ნიადაგი ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსაყვანად. სამხედრო საბჭოში შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანის იდეა პირველად თბილისის ახლად დანიშნულმა მერმა ოთარ ლითანიშვილმა გააჟღერა. მცირე ყოყმანის შემდეგ მას პირველმა მხარი ჯაბა იოსელიანმა დაუჭირა, თუმცა კატეგორიულად არ დაეთანხმნენ სიგუა და კიტოვანი (ბლუაშვილი, 2015: 201-202). ამის შემდგომ 2 თებერვალს ვალერი კვარაცხელიასთან სატელევიზიო ინტერვიუში ედუარდ შევარდნაძემ ისაუბრო სამომავლო გეგმებზე და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. შეკითხვაზე აპირებდა თუ არა ჩამოსვლას საქართველოში და მიიღებდა თუ არა მონაწილეობას მის პოლიტიკურ ცხოვრებაში, შევარდნაძემ უპასუხა: „თუ საჭირო იქნა, ჩემს პოლიტიკურ კაპიტალს საქართველოს მოვახმარ“ (ბართაია; 2020: 85). ეს იყო მისი მხრიდან ერთ-ერთი პირველი საჯარო კომენტარი, სადაც მზაობას გამოთქვამდა საქართველოში პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობაზე.

7 მარტს ედუარდ შევარდნაძე, მიუხედავად მისი თავდაპირველი პოზიციისა, რომ არ ჩაერეოდა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში თბილისში დაბრუნდა და აეროპორტშივე მიმართა თავის მხარდამჭერებს „მივესალმები ქართულ ინტელიგენციას, რომელმაც იარაღი აიღო ხელში“ (წიქარიშვილი, 2003: 354). შევარდნაძეს თან ახლდნენ მეუღლე, უახლოესი მრჩევლები ჯერ კიდევ ძველ საბჭოთა დროის საგარეო საქმეთა სამინისტროდან - თემურ სტეპანოვი და სერგეი ტარასენკო - ახალგაზრდა თბილისელ მებრძოლთა და მოქალაქეთა გუნდი. აეროპორტში მას ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი და დაახლოებით 2 ათასი მხარდამჭერი დახვდნენ, ძირითადად ინტელიგენციის წარმომადგენლები (ჯონსი, 2013: 108). შევარდნაძე საქართველოში ჩამოყვანა თავდაპირველად საერთოდ არ უნდოდათ ტრიუმვირატის წარმომადგენლებს. მათ ძალაუფლება თავისთვის სურდათ და სხვისთვის არ ემეტებოდათ. „სამხედრო საბჭო“ წინააღმდეგიც კი იყო ხოლმე ტელევიზიით ეჩვენებინათ ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუები. თუმცა მისი საქართველოში ჩამოყვანა ასლან აბაშიძემ ითავა. იანვარ-თებერვალში, იგი მოსკოვში შეხვდა ედუარდ შევარდნაძეს, საკუთარი ინიციატივით, და საქართველოში დაბრუნება სთხოვა. ამ საქმეში შემდგომ აყვნენ ტრიუმვირატის წევრებიც. პირველ რიგში, ხვდებოდნენ, რომ შევარდნაძეს გარეშე ხელისუფლების ლეგიტიმიზაციას ვერ მოახერხებდნენ. მეორე მხრივ, ეშინოდათ მისი როგორც კონკურენტის, რომ ახალ არჩევნებში დამოუკიდებლად არ მიეღო მონაწილეობა. თენგიზ სიგუა ასე ხსნიდა თავის თანხმობას ედუარდ შევარდნაძის დაბრუნებაზე: „აბა დაფიქრდით, ვთქვათ არ დავთანხმებულიყავით, - ეკონომიკურ ვითარებას ხომ ვერ გამოვასწორებდით? ინტელიგენციის წარმომადგენლები კი აუცილებლად იტყოდნენ: მეფე გვყავს, ოქროს ზოგი გვაქვს და რატომ არ ვიყენებთო. გარდა ამისა, ჩვენ რომ არ ჩამოგვეყვანა არჩევნებისთვის შესაძლოა სხვა გზით და ხერხით თვითონ ჩამოსულიყო“ (წიქარიშვილი, 2003: 351-352). ამიტომ ერჩია სიგუასაც, კიტოვანსაც და იოსელიანსაც, რომ შეერთებოდნენ ედუარდ შევარდნაძეს დაბრუნების იდეას. ამით შევარდნაძე გახდებოდა მათი მოკავშირე, აიღებდა პასუხისმგებლობას დეკემბერ-იანვარში მომხდარ მოვლენებზე და ერთად დაიწყებდნენ მზადებას ახალი არჩევნებისთვის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ედუარდ შევარდნაძეს ნამდვილად ჰქონდა დიდი საერთაშორისო კავშირები, რაც გადატრიალების შემდეგ ძალიან სჭირდებოდა სამხედრო საბჭოს.

ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებისთანავე გაუქმდა „სამხედრო საბჭო“ და შეიქმნა „სახელმწიფო საბჭო“. სახელმწიფო საბჭოში ოთხი მუდმივი წევრიდან თითოეულს (თენგიზ სიგუას, თენგიზ კიტოვანს, ჯაბა იოსელიანსა და ედუარდ შევარდნაძეს) ვეტოს უფლება ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარედ ედუარდ შევარდნაძე გამოცხადდა. თუმცა რეალური ძალაუფლება უფრო კიტოვანისა და იოსელიანის ხელში იყო. გარდა ამისა, სახელმწიფო საბჭოს უნდა მოემზადებინა არჩევნები (იოსელიანი, 2013: 114).

30 აპრილს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე მეოთხე მოსმენით განიხილეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი არჩევნების დებულებათა პროექტი. სწორედ აქ გადაწყდა მომავალი არჩევნების ზუსტი დრო. შეკრებილებმა საქართველოს რესპუბლიკის საპარლამენტო არჩევნების თარიღად გადაწყვიტეს 11 ოქტომბერი. სხდომის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება დიდ როლს შეასრულებდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და იმ ძნელ ეტაპზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შეთანხმებად გამოაცხადა (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #73).

21 მაისს საქართველოს სახელმწიფო საბჭომ საბოლოოდ დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის არჩევნების დებულება. საქართველოს პარლამენტში 11 ოქტომბრის

არჩევნების შედეგად 169 დეპუტატი იქნებოდა, რომელებსაც 47 საარჩევნო ოლქში პროპორციული სისტემით აირჩევდნენ. ამასთანავე პოლიტიკურ პარტიებს შესაძლებლობა ეძლეოდათ თითოეულ საარჩევნო ოლქში დაესახელებინათ იმდენი დეპუტატობის კანდიდატი, რამდენიც მანდატია. პარლამენტს 3 წლის ვადით აირჩევდნენ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #87).

რესპუბლიკის პარლამენტის ახალი არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების შეწყვეტის გამო, 25 მაისიდან დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლდნენ: 1. ალექსანდრე ქობალია - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; 2. ლევან მესხი - კომისიის მდივანი; 3. ნოდარ ლაზარიაშვილი - მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი; 4. რამაზ თურქაძე - საორგანიზაციო განყოფილების უფროსი; 5. ნუგზარ სხირტლაძე - საოქმო სარეგისტრაციო განყოფილების უფროსი. განთავისუფლების ბრძანებას ხელს აწერდა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ხმალაძე (ცსკ, ფონდი 1252, ან. 1, საქ. 9, ფურ. 3).

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი საშტატო განრიგი, რომლითაც აღარ იყო გათვალისწინებული საქმის მწარმოებლის თანამდებობა და მის ნაცვლად დამტკიცდა კანცელარიის მმართველის საშტატო ერთეული. ამასთან დაკავშირებით საქმის მწარმოებელი მარინა გოკიელი გადაიყვანეს კანცელარიის მმართველად. საშტატო განრიგი კი ასე გამოიყურებოდა: თავმჯდომარე - 1, მოადგილე - 1, მდივანი - 1, განყოფილების უფროსი - 5, მთავარი ბუღალტერი - 1, კანცელარიის მმართველი 1, მდივან-მემანქანე - 1 (ცსკ, ფონდი 1252, ან. 1, საქ. 9, ფურ. 6-9).

1992 წლის 13 ივნისს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე კენჭისყრის პრინციპით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს მერაბ ალექსიძე. სწორედ მას დაევალა საარჩევნო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრა და სახელმწიფო საბჭოსთვის წარდგენა. 30 ივნისს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა გიორგი ზესაშვილი, ხოლო მდივნად ნუგზარ სხირტლაძე. 17 ივნისიდან, მერაბ ალექსიძის ხელმოწერით, თანამდებობიდან გაათავისუფლეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე (ცსკ, ფონდი 1252, ან. 1, საქ. 9, ფურ. 7-10).

7 ივლისს გადაწყდა ჩატარებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია. საინვენტარიზაციო კომისია განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: 1. გიორგი ზესაშვილი (თავმჯდომარე); 2. ლია სახოკია; 3. დავით კალანდაძე; 4. ნოდარი ლაზარიაშვილი; 5. მარინა გოკიელი. ინვენტარიზაცია უნდა დაწყებულიყო 17 ივლისს. მისი ჩატარების დროს უნდა შემდგარიყო საინვენტარიზაციო უწყისები (ადგილზე არსებული ფასეულობათა ფაქტიური ნაშთების აღწერის ჩატარება). სახელმწიფო საბჭოსთვის მოხსენებითი ბარათი უნდა წარედგინა ლია სახოკიას (ცსკ, ფონდი 1252, ან. 1, საქ. 9, ფურ. 11).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არჩევნები უნდა ჩატარებული პროპორციულ სისტემაზე, რაც ნიშნავს, რომ ასეთ დროს არჩევნებში მონაწილეობენ პარტიები (საარჩევნო

ბლოკები) პარტიული სიებით და დაგროვილი ხმების პროპორციულად ინაწილებენ მანდატებს, რაც გათვალისწინებულია საარჩევნო კანონით. ამ შემთხვევაში დეპუტატის 250 მანდატი პარტიებზე გადანაწილდება მათ მიერ დაგროვებული ქულების პროპორციულად: ერთი პარტია თუ მეორე პარტიაზე სამჯერ მეტ ქულას დააგროვებს, შესაბამისად იმ პარტიაზე სამჯერ მეტ მანდატს მიიღებს.

ასეთ საარჩევნო სისტემას ქართველები უკვე იცნობდნენ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებზე. აღნიშნულ არჩევნებზე 125 მანდატი განაწილდა მაჟორიტარული სისტემით, ხოლო 125 - პროპორციულით. 28 ოქტომბერის არჩევნებით პროპორციული სისტემის თვალსაზრისით საქართველო წარმოადგენდა მთლიან მრავალმანდატიან ოლქს. 1992 წლის მოქმედი დებულების მიხედვით კი საქართველო დაყოფილიყო იყო 10 მრავალმანდატიან ოლქად, ისე რომ, საერთო ანგარიშით მათზე განაწილებული იყო 150 მანდატი.

შესაბამისად პარტიებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უნდა წარედგინათ პარტიული სიები მრავალმანდატიანი ოლქების მიხედვით. ე. ი. თითოეულმა პარტიამ ცენტრალურ კომისიაში წარადგინა 10 პარტიული სია. თითოეულ პარტიულ სიაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოცემულ ოლქში დაშვებული მანდატების რაოდენობის ნახევარზე ნაკლები.

არ შეიძლებოდა ერთი და იმავე პირი ყოფილიყო სხვადასხვა პარტიულ სიაში. თითოეულ ოლქში პარტიები დაგროვებული ქულების პროპორციულად გაიყოფოდნენ მოცემულ ოლქში დაშვებული მანდატების რაოდენობაზე.

11 ოქტომბერს საარჩევნო უბანში მისულ ამომრჩეველს დახვდებოდა ორი ბიულეტინი. ერთი - მაჟორიტარული, სადაც შეტანილი იქნებოდნენ ადგილობრივი დეპუტატობის კანდიდატები. მეორე - პროპორციული, რომელშიც შეტანილი იქნებოდნენ პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სახელწოდებები. ამომრჩეველს უფლება ჰქონდა ხმა მიეცა ერთი, ორი ან სამი პარტიისთვის, რისთვისაც პარტიის სახელწოდების წინ ცარიელ უჯრედში უნდა ჩაეწერა ციფრები შემდეგი მიმდევრობით. ციფრი „1“ იმ პარტიის წინ, რომელსაც ყველაზე მეტად ანიჭებდა უპირატესობას. ციფრი „2“ იმ პარტიის წინ, რომელსაც პირველის შემდეგ ანიჭებს უპირატესობას; ციფრი „3“ იმის გასწვრივ, რომელსაც პირველი ორის შემდეგ ანიჭებდა უპირატესობას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამომრჩეველი იმ პარტიას, რომელსაც უწერდა „1“-ს აძლევდა „5“ ქულას, რომელსაც უწერდა „2“-ს აძლევდა „3“ ქულას, ხოლო, რომელსაც უწერდა „3“-ს აძლევდა 2 ქულას. ამომრჩეველს შეეძლო შეჩერებულიყო ნებისმიერ ციფრზე.

ცენტრალური საარჩევნო კომისია მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქებში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების ხმის დათვლის შემდეგ, შეაჯამებდა ყველა პარტიის მიერ მიღებულ ე. წ. ქულებს, გაყოფდა ქულათა ჯამს ამ ოლქში გასანაწილებელი მანდატების რაოდენობაზე და დაადგენდა საარჩევნო კვოტას. თითოეული პარტიის მიერ დაგროვილი ქულების საარჩევნო კვოტაზე გაყოფით დადგინდებოდა მანდატების ის რაოდენობა, რომელიც მოცემულ ოლქში შეხვდებოდა მოცემულ პარტიას. თუ რომელიმე პარტია მოცემულ ოლქში მოიპოვებდა 5 მანდატს, პარლამენტის წევრი გახდებოდა მოცემული პარტიის მიერ ამ ოლქში წარდგენილი

პარტიული სიის პირველი 5 წევრი. ასე განაწილდებოდა პარტიებზე მრავალმანდატიანი ოლქების მიხედვით 150 დეპუტატის მანდატი

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საქართველოს პარლამენტის არჩევნების დებულების მე-40 მუხლის შესაბამისად გამართულმა კენჭისყრამ დაადგინა პარტიული სიების და ბლოკების შემდეგი რიგითობა: 1. დემოკრატიული პარტია; 2. პოლიტიკური ორგანიზაცია „ქარტია-91“; 3. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; 4. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი; 5. საქართველოს მთიელთა კავშირი; 6. საარჩევნო ბლოკი ერთობა; 7. საქართველოს ქრისტიან-ლიბერალური პარტია; 8. მამულის აღორძინების საზოგადოება; 9. ხალხთა მეგობრობისა და სამართლიანობის პარტია; 10. საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი; 11. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება; 12. საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი; 13. საარჩევნო ბლოკი „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა პოლიტიკური კავშირი“; 14. საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი; 15. სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა“; 16. საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია; 17. საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია; 18. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება მოძრაობა „ერთიანი საქართველო“ (მ „ეს“); 19. საქართველოს რადიკალურ-მონარქისტული კავშირი; 20. საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება; 21. საქართველოს სახალხო პარტია (სსპ); 22. ქართველ შეფიცულთა კავშირი; 23. საქართველოს ფიზიკურად მშრომელთა (მუშურ-გლეხური) პარტია „ცხოვრების იმედი“; 24. საქართველოს ეროვნულ-სამართლებრივი პარტია; 25. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია; 26. საქართველოს ეროვნული ფრონტი-რადიკალური კავშირი; 27. სრულიად საქართველოს მიწადმოქმედთა კავშირი; 28. საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია; 29. საარჩევნო ბლოკი „მშვიდობა“; 30. საქართველოს ეროვნულ-რადიკალური პარტია; 31. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია; 32. სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება; 33. საარჩევნო ბლოკი „11 ოქტომბერი“; 34. სრულიად საქართველოს სელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოება; 35. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია; 36. საქართველოს მწვანეთა პარტია (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #172).

2 სექტემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა, სადაც განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის დადგენილება პარტიული სიების წარდგენისა და მათი რეგისტრაციის ვადების გაგრძელების შესახებ. ამ დადგენილების მიხედვით, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მერაბ ალექსიძემ, გამოაცხადა პარტიული სიების წარდგენისა და წარდგენილ სიებში ცვლილების შეტანის ვადის გაგრძელება 3 სექტემბრის 18 საათამდე, ხოლო მათი რეგისტრაციის ვადა - 7 სექტემბრის 24 საათამდე.

არჩევნების დებულების ცვლილებებითა და დამატებებით გათვალისწინებული იყო საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის არჩევა პარლამენტთან ერთად სამი წლის ვადით. ამგვარად, არჩევნების დღეს ამომრჩეველი მიიღებდა სამ ბიულეტენს, რომლებითაც აირჩევდა დეპუტატებს: პარტიული სიებით მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქების მიხედვით პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე და

ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე აირჩეოდა სრულიად საქართველოს მიერ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა ყაზბეგის, თიანეთის, ხაშურის, ბორჯომის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ზუგდიდის და ახალგორის საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა მოადგილეები.

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურმა კომისიამ სხდომაზე შეიმუშავეს ინსტრუქციები საარჩევნო ბიულეტინში დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატების რიგითობის დასადგენად საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის ჩატარების წესის შესახებ.

საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული ყოველი დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატის გვარი, სახელი და მამის სახელი იწერებოდა თანაბარი ზომის ფურცლებზე და ლაგდებოდა მაგიდაზე ისე რომ არ ჩანდა ნაწერი მხარე, ხოლო შესაბამისი რაოდენობის თანაბარი ზომის დაკეცილი ფურცლები რიგით ნომრებით იყრებოდა ყუთში (ან ლაგდებოდა მაგიდაზე). საარჩევნო კომისიის ერთ-ერთი წევრი იღებდა მაგიდიდან ფურცლეს დეპუტატობის კანდიდატის ვინაობის დასახელებით, ხოლო შემდეგ ეს დეპუტატობის კანდიდატი იღებდა ფურცელს, რომელზეც მითითებული იყო რიგითი ნომერი. დეპუტატობის კანდიდატის არყოფნის შემთხვევაში, ამ ფურცელს იღებდა მისი ნდობით აღჭურვილი პირი, ხოლო ამ უკანასკნელის არყოფნისას - საარჩევნო კომისიის სხვა წევრი. ეს პროცედურა უნდა გაგრძელებულიყო იქამდე, სანამ ყველა კანდიდატი არ მიიღებდა თავის რიგით ნომერს (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #169).

ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ალბერტ თავხელიძის, ანდრეა რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის ივანე კიღურაძის, კინორეჟისორ თენგიზ აბულაძის, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მარიამ ლორთქიფანიძის, დირიჟორ ჯანსუღ კახიძის, თბილისის სახელწმიფო უნივერისტეტის დოცენტის რუსუდან ბერიძის შემადგენლობით 1992 წლის 2 სექტემბერს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურად წარუდგინა ედვარდ შევარდნაძე (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #170).

მათმა მუშაობამ, რა თქმა უნდა, შედეგი გამოიღო და მოაგროვეს მხარდამჭერთა 41 142 ხმა. ხელმოწერილი დოკუმენტი საარჩევნო კომისიას ჩააბარეს 12 სექტემბერს. აღნიშნული საინიციატივო ჯგუფი განსაკუთრებულ მადლობას დახმარებისთვის უხდიდა საარჩევნო ბლოკ „მშვიდობას“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #176-177). ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერთა ხელმოწერები გროვდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და სხვადასხვა საინიციატივო ჯგუფის მიერ.

ასეთივე ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა ელდარ შენგელაიას, ალექსანდრე კავკასიის (საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილე), არჩილ გობელიას (ბეჭვდითი სიტყვისა და ინფორმაციის მინიტრი) და სხვა პირებმა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნებში პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატად დაასახელა ედუარდ შევარდნაძე. მის კანდიდატურას მხარი ერთხმად მწერალთა კავშირის გამგეობამაც დაუჭირა. სწორედ საინიციატივო ჯგუფმა

ითავა ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #172).. როგორც ვიცით, კანდიდატებს ხმების საჭირო რაოდენობის მოსაგროვებლად და სიების წარსადგენად დრო 11 სექტემბრამდე ჰქონდათ.

1992 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სპეციალურად გამოაქვეყნა ინსტრუქცია დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატების მიერ საარჩევნო ფონდის გამოყენების წესის შესახებ. ამ ინსტრუქციის მიხედვით, საარჩევნო ფონდის სახსრები უნდა ჩარიცხულიყო ამ ფონდისთვის სპეციალურად გახსნილ ანგარიშზე, რომელიც გაიხსნებოდა ადგილობრივი კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობის საფუძველზე შესაბამისი რაიონის ტერიტორიაზე არსებულ შემნახველ ბანკში ან მის ფილიალში. დეპუტატს ფონდის საბანკო რეკვიზიტები სამი დღის ვადაში უნდა წარედგინა საოლქო საარჩევნო კომისიისთვის.

ინსტრუქციის მიხედვით განსაზღვრული იყო ვის შეეძლო საარჩევნო ფონდის სახსრების კონტროლი ან მაქსიმუმ რამდენი შეიძლება ყოფილიყო ეს თანხა. აუცილებლად კონტროლი შეეძლო, ან თვით კანდიდატი, ან მის მიერ დანიშნული პირი ე. წ. ფონდის გამგებელს. ფონდის მაქსიმალური ლიმიტი კი 100 ათას მანეთს არ უნდა გადასცილებოდა.

ინსტრუქციის მიხედვით დარეგულირებული იყო საარჩევნო ფონდის ნაშთის საკითხიც. არჩევნების დღიდან 20 დღეში ამთავრებდა ფონდიდან ყოველგვარ ანგარიშსწორებას. არჩევნების დღიდან 25 დღეში კი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგენდა დოკუმენტს საარჩევნო ფონდის ანგარიშზე ჩარიცხული და დახარჯული სახსრების შესახებ. დეპუტატის დამარცხების შემთხვევაში საარჩევნო ფონდის ნაშთი არჩევნების დღიდან 30 დღეში ჩამოეჭრებოდა და გადაირიცხებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში, თუ კანდიდატი დეპუტატი გახდებოდა საარჩევნო ფონდის ნაშთი დარჩებოდა მის განკარგულებაში (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #176-177).

14 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის სახელწმიფო საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა თათბირი, რომელმაც განიხილა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები. სხდომაზე მონაწილეებმა მოისმინეს მერაბ ალექსიძის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის ნუგზარ სხირტლაძის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ზესაშვილის მოხსენება არჩევნებამდე დარჩენილი დროის ამოცანებზე. სხდომაზე ასევე სიტყვით გამოვიდნენ პრემიერ-მინისტრის მოადგილე პაატა კოღუაშვილი, სახელმწიფო საბჭოს მრჩეველი არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დარგში რუსუდან ბერიძე, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე რობინზონ თუშურაშვილი, კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე თემურ ბუცხრიკიძე, ტრანსპორტის მინისტრი ალექსანდრე ჩხეიძე. მათი თქმით, არჩევნების ნორმალურად ჩატარებისთვის ყველა უწყება თავდაუზოგავად მუშაობდა. მერაბ ალექსიძის თქმით, მძიმე ვითარებაში უხდებოდათ არჩევნების ჩატარება. „მძიმე ვითარებაში გვიხდება საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პარლამენტის არჩევნების ჩატარება. ამ უმნიშვნელოვანესი კამპანიის სრულყოფილად ჩატარების პირობების შექმნაში ხედავს თავის დანიშნულებას საარჩევნო კომისია, რომლის

უზენაესობას უზრუნველყოფს საარჩევნო კანონის 29-ე მუხლი. მასში, კერძოდ, ნათქვამია: „საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს და დაწესებულების თანამდებობის პირებისა და სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #178).

რესპუბლიკის მთავრობამ, სამინისტროებმა და უწყებებმა არჩევნების ჩატარების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისთვის მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები განახორციელეს. მთავრობამ დადებითად და მოკლე დროში გადაწყვიტა არჩევნების ჩატარებისთვის საჭირო სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა, რომელიც 50 მილიონი მანეთამდე განისაზღვრა. პირველ ჯერზე სახელმწიფო ხაზინიდან გამოიყო 38,5 მილიონი მანეთი, მეორე ჯერზე კი აღნიშნულ თანხას დაემატა 11.5 მილიონი მანეთი. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ სათანადო წერილი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მისცა უფლება, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში შეინანონ ცვლილებები და ხარჯთაღრიცხვის მუხლებს შორის ხარჯები გაანაწილოს თავისი შეხედულებისამებრ.

რესპუბლიკის მთავრობამ დააკმაყოფილა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თხოვნა და გაათავისუფლა იგი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული შემენილი საქონლის ინვენტარისა და გაწეული მომსახურების დამატებით ღირებულებაზე გადასახადისაგან.

რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის გამგეობებს, რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულების თანახმად, სათანადო დავალება მისცა ქალაქებისა და რაიონების შემნახველი ბანკის განყოფილებებს, გაეხსნათ საარჩევნო ფონდის ანგარიშები დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატებისთვის.

რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უსასყიდლოდ გადაეცა 5 კომპიუტერი, 160 ტონა ქაღალდი, 300 ტონა საწვავი, 20 საქალაქთაშორისო სატელეფონო ხაზი, ერთი „გაზ-31“ მარკის ავტომანქანა და სხვადასხვა ტექნიკის შესაძენად გამოეყო 1.2 მილიონი მანეთი.

ყველა საარჩევნო კომისიის ფუნქციონირება უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი ოთახებით, ინვენტარით, სატელეფონო კავშირით და შესაძლებლობის მიხედვით სატრანსპორტო საშუალებით.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პაატა კოღუაშვილის თქმით, რესპუბლიკის მთავრობა ყველაფერს იღონებდა იმისთვის, რომ საარჩევნო კომისიებმა შეძლოს და შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #179-180).

აღნიშნული შეხვედრის დასრულების შემდეგ ამავე საკითხზე შეხვედრა მოეწყო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოში. საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების, სამართალდამცავი ორგანოების წინაშე მდგომი რთული პრობლემები შესახებ სიტყვით გამოვიდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გვენეტაძე, გენერალ პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელი ირაკლი ბათიაშვილი, იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა იოსელიანი და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე. ყველა

მონაწილემ აღნიშნა, რომ პარლამენტის მომავალ არჩევნებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ბედისთვის და დესტრუქციული ძალებისთვის არჩევნების ჩაშლის საშუალება არ უნდა მიეცათ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #179-180).

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იგი მზადაა ყველა პარტიასთან თანამშრომლობისთვის, მშვიდობიანი და კონსტრუქციული დიალოგისთვის. ედუარდ შევარდნაძეც ათვიცნობიერებდა ხელისუფლების ლეგიტიმაციის პრობლემას და კანონიერი ხელისუფლების აუცილებლობას. მას აშკარად კარგად ჰქონდა გათვიცნობიერებული ის ფაქტი, რომ 1992 წლის იანვარში არჩევნების გზით არჩეული ხელისუფლება უკანონოდ დაამხო ე. წ. სამხედრო ხუნტამ და თუ კანონიერი ხელისუფლება არ იქნებოდა ქვეყანაში ძალიან გაჭირდებოდა მშვიდობის დამყარება. ამის გარდა შევარდნაძე იმასაც ათვიცნობიერებდა, რომ ეს ყველაფერი ცუდად ჩანდა საერთაშორისო ორგანიზაციების, თანამეგობრობის თვალში და საჭირო იყო არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლა.

„ჩვენ ვერაფერს ვერ გავაკეთებ, თქვა მან, წინ ვერ წავიწევით დემოკრატიულ გარდაქმნაა გზაზე, თავს ვერ ვიგრძნობთ გულდაჯერებით მსოფლიო გაერთიანებაში, თუ არ გვეყოლება კანონიერი ხელისუფლება, კანონიერი მთავრობა, რომლებიც ხალხის სახელით იმოქმედებენ. ამიტომაც ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს იდეალები, ყველამ, ვისაც გული შესტკივა სამშობლოს მომავლისათვის, მხარი უნდა დაუჭიროს მომავალ არჩევნებს“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #179-180). - ედუარდ შევარდნაძის ამ განცხადებაში კარგად ჩანს ჩვენ მიერ ზემოთ განხილული საკითხი. აშკარად რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარეს კარგად აქვს გათვიცნობიერებული ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხი და არჩევნების სამართლიან გარემოში ჩატარების მნიშვნელობა.

პოლიტიკური ორგანიზაცია „დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის“ – „დას“-ის თავმჯდომარეს მოადგილე იყო ვახტანგ ხმალაძე, რომელიც არჩევნების დებულების შემმუშავებელ კომისიას მეთაურობდა. (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #86).

18 სექტემბერს გამართულმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე დაარეგისტრირა ედუარდ შევარდნაძე. საოქმო-სარეგისტრაციო განყოფილების ცნობით, ორივე საინიციატივო ჯგუფმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარმოადგინა თავმჯდომარის პოსტზე დასახელებული კანდიდატის მხარდამჭერი ხელმოწერები, რომელთა რიცხვი 77,338-ს შეადგენდა. ხელმოწერები ბევრად სჭარბობდა საარჩევნო დებულებით დადგენილს ხუთი ათასს (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1992). #184).

საქართველოს საარჩევნო კომისიის მიერ შევარდნაძის თავმჯდომარის პოსტზე დარეგისტრირებით მთავრდება 1992 წლის არჩევნების დაგეგმვის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი. 1992 წლის 2 ოქტომბერს გაგრის დაცემა საერთოდ შეცვლის წინა საარჩევნო სიტუაციას. როგორი იყო ვითარება 1992 წლის არჩევნებამდე და როგორ ვითარებაში ჩატარდა 11 ოქტომბრის არჩევნები ეს ცალკე საკვლევი თემაა და ჩვენ ამ საკითხს აღნიშნულ ნაშრომში არ შევეხებით.

დასკვნები

1992 წლის განმავლობაში ქვეყნის ხელისუფლებაში იმყოფებოდნენ კანონიერი ხელისუფლების დამხობის მთავარი აქტორები. პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური სპექტრიდან გაქრნენ ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერები. არჩევნებს მზადების პროცესი კი საკმაოდ რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ამას მოწმობს ქვეყანაში შექმნილი რთული კრიმინალური სიტუაცია. წლის დამდეგიდან დანაშაულთა რაოდენობა კატასტროფულად იზრდებოდა. ვითარებას ამწვავებდა ის გარემოება, რომ იარაღი იყო ცალკეულ პირთა ხელში. თითქმის ყოველი მეხუთე უნებართვოდ ატარებდა მას. რეგიონებში კვლავ თარეშობდნენ ტერიტორიული შეიარაღებული ბანდები. ფართო მასშტაბი ჰქონდა შეძენილი ორგანიზებულ დანაშაულებებს. ისეთ სამარცხვინო მოვლენებს, როგორებიცაა ადამიანის მოტაცება და ნარკომანია. რა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო დანაშაულებრივი ორგანიზაციების მიერ არჩევნების დაგეგმვის მსვლელობაში მონაწილეობა, რაც შეუშლიდა ხელს მის სამართლიან გარემოში მომზადება/ჩატარებას. თავის მხრივ, კრიმინალების ჩართულობა, გატაცებები, დაშინებები არჩევნების შედეგებსაც მიაყენებდა ზიანს და მისი ლეგიტიმაციის პრობლემას წამოსწევდა წინა პლანზე.

1992 წლის 11 ოქტომბრის მზადების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ხელისუფლების ლეგიტიმურობა იყო. ეს კი თავის მხრივ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა საერთოდ არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხს. იმჟამინდელი მთავრობა ხელისუფლება ცალსახად არაკანონიერი გზებით მოვიდა. ამის შემდეგ ყველას კარგად ესმის რომ საჭირო იყო ამ ყველაფრის არჩევნების გზით გამტკიცება. სწორედ ამიტომ დაინიშნა საპარლამენტო არჩევნებიც. თავად არჩევნების ლეგიტიმაციის სასარგებლოდ ერთი შეგვიძლია ის ვთქვათ, რომ საქართველოს პარლამენტის არჩევნებს ატარებდა არა საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება, არამედ მისგან სრულიად დამოუკიდებელი, 47 პოლიტიკური პარტიისგან დაკომპლექტებული საარჩევნო კომისია. საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება იურდიულად უზრუნველყოფდა, აფინანსებდა, ხელს უწყობდა არჩევნების ნორმალურად წარმართვას. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარკვეულ ბენეფიტებსაც შეიცავდა. მთლიანი სამოხელეო აპარატი, სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული მოქალაქეები პოტენციურად სწორედ მათ ამომრჩევლებად მოგვევლინებოდნენ.

არჩევნებისთვის მზადება აქტიურად მარტიდან დაიწყო, წინასაარჩევნო კამპანია კი - ივნისიდან. საარჩევნო კომისიამ არჩევნების ჩატარების დღემდე კარგი და საქმიანი ურთიერთობა დაამყარა ბევრ ცენტრალურ უწყებასთან, რომლებიც სრული გაგებით ეკიდებოდნენ მის სამართლიან მოთხოვნებს.

არჩევნებში მონაწილეობა საქართველოს მოსახლეობას საშუალებას მისცემდა გამოეხატა თავისი დამოკიდებულება შესაბამისი პოლიტიკური პარტიებისადმი და აერჩია ერთიანი, დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესი ხელისუფლება. ხმის მისაცემად მისული ამომრჩეველი სამ ბიულეტინს მიიღებდა: ერთს - რომელიც ჩამოთვლილი იქნებოდა პარტიები და საარჩევნო ბლოკები, მეორეს - რომელშიც იქნებოდნენ ადგილობრივი დეპუტატობის კანდიდატები და მესამეს - პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურით.

ახალი ლეგიტიმური ხელისუფლების დასადგენად, არჩევნები მაინც აუცილებელი გზა იყო სამომავლო სტაბილიზაციისთვის. ეს უფრო იყო „ტრაგიკული აუცილებლობა“ იმისთვის, რომ ქვეყანას და საზოგადოებას ოდესმე მაინც დაეღწია თავი კრიზისული ქაოსისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბართაია, ნ. (2020). *ეროვნული მოძრაობის დღიურებიდან.* თბილისი: ინტელექტი.

ბლუაშვილი, უ. (2015). *საქართველოს პოლიტიკური ისტორია 1987-2003.* თბილისი: უნივერსალი.

იოსელიანი, ჯ. (2013) *სამი განზომილება.* თბილისი: ბაკურ სულაკაური.

შველიძე, დ. (2008). *პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში 1987-1992 წ. წ.* თბილისი: უნივერსალი.

წიქარიშვილი. გ. (2003). ჟამი ჭეშმარიტი. თბილისი.

ჯონსი. სტ. (2013). *პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

საარქივო წყაროები

საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცსკ), ფონ. 1252, ან. 1, საქ. 9, ფურ. 1.

ცსკ, ფონდი 1252, ან. 1, საქ. 9, ფურ. 2.

ცსკ, ფონდი 1252, ან. 1, საქ. 9, ფურ. 3.

ცსკ, ფონდი 1252, ან. 1, საქ. 9, ფურ. 6-9.

ცსკ, ფონდი 1252, ან. 1, საქ. 9, ფურ. 7-10.

ცსკ, ფონდი 1252, ან. 1, საქ. 9, ფურ. 11.

პერიოდული გამოცემები

გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1992). #1.

გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1992). #2.

გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1992). #3.

გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1992). #4.

გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1992). #9.

გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1992). #12.

გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1992). #73.

გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1992). #86.

გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1992). #87.

გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1992). #114.

გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1992). #169.

გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1992). #170.

გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1992). #172.

გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1992). #176-177.

გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1992). #178.

გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1992). #179-180.

გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1992). #184.

REFERENCES

Scientific literature

Bartaia, n., (2020). *erovnuli modzraobis dghiurebidan.* tbilisi: int'elekt'i [From the diaries of the national movement]. Tbilisi: Intelligence.

Bluashvili. u., (2015). *sakartvelos p'olit'ik'uri ist'oria 1987-2003*. tbilisi: universali [Political history of Georgia 1987-2003]. Tbilisi: Universal.

ioseliani. j., (2013). *sami ganzomileba*. tbilisi: bak'ur sulak'auri [Three dimensions]. Tbilisi: Bakur Sulakauri.

Shvelidze. d., (2008). *p'olit'ik'uri dap'irisp'irebebi da erovnuli khelisuplebis damkhoba sakartveloshi (19987-1992 ts'. ts'.).* tbilisi: universali [Political confrontations and the overthrow of the national government in Georgia 1987-1992] Tbilisi: Universal.

ts'ikarishvili. g., (2003). *zhami ch'eshmarit'i*. Tbilisi [Time is true]. Tbilisi.

jonsi. st'., (2013). *p'olit'ik'uri ist'oria damouk'ideblobis gamotskhadebis shemdeg*. tbilisi: sotsialur metsnierebata tsent'ri [Political history since independence]. Tbilisi: Social Sciences Center.

Archival sources

National Archives of Georgia, Central Election Commission, Fond. 1252, Description 1, Case 9, paper. 1.

CEC, pondi 1252, D. 1, C. 9, P. 2.

CEC, pondi 1252, D. 1, C. 9, P. 3.

CEC, pondi 1252, D. 1, C. 9, P. 6-9.

CEC, pondi 1252, D. 1, C. 9, P. 7-10.

CEC, pondi 1252, D. 1, C. 9, P. 11.

Periodicals

gaz. „*sakartvelos resp'ublik'a", [Newspaper "Republic of Georgia"].* (1992). #1.

gaz. „*sakartvelos resp'ublik'a", [Newspaper "Republic of Georgia"].* (1992). #2.

gaz. „*sakartvelos resp'ublik'a*", [Newspaper "Republic of Georgia"]. (1992). #3.

gaz. „*sakartvelos resp'ublik'a", [Newspaper "Republic of Georgia"].* (1992). #4.

gaz. „*sakartvelos resp'ublik'a*", [Newspaper "Republic of Georgia"]. (1992). #9.

gaz. „*sakartvelos resp'ublik'a", [Newspaper "Republic of Georgia"].* (1992). #12.

gaz. „*sakartvelos resp'ublik'a", [Newspaper "Republic of Georgia"].* (1992). #73.

gaz. „*sakartvelos resp'ublik'a", [Newspaper "Republic of Georgia"].* (1992). #86.

gaz. „*sakartvelos resp'ublik'a*", [Newspaper "Republic of Georgia"]. (1992). #87.

gaz. „*sakartvelos resp'ublik'a*", [Newspaper "Republic of Georgia"]. (1992). #114.

gaz. „*sakartvelos resp'ublik'a*", [Newspaper "Republic of Georgia"]. (1992). #169.

gaz. „*sakartvelos resp'ublik'a*", [Newspaper "Republic of Georgia"]. (1992). #170.

gaz. „*sakartvelos resp'ublik'a*", [Newspaper "Republic of Georgia"]. (1992). #172.

gaz. „*sakartvelos resp'ublik'a*", [Newspaper "Republic of Georgia"]. (1992). #176-177.

gaz. „*sakartvelos resp'ublik'a*", [Newspaper "Republic of Georgia"]. (1992). #178.

gaz. „*sakartvelos resp'ublik'a*", [Newspaper "Republic of Georgia"]. (1992). #179-180.

gaz. „*sakartvelos resp'ublik'a*", [Newspaper "Republic of Georgia"]. (1992). #184.

მადლიერება

სტატიის ავტორი მადლობას უხდის, „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდს", პროექტის „საპარლამენტო არჩევნები საქართველოში" მხარდაჭერისთვისა და მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის.